ვინც ფლობს ოქროს ან ვერცხლს და არ გასცემს მათგან დაწესებულს, განკითხვის დღეს მათგან დამზადდება ცეცხლოვანი ფირფიტები, რომლებსაც ჯოჯოხეთის ცეცხლში გააცხელებენ

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც ფლობს ოქროს ან ვერცხლს და არ გასცემს მათგან დაწესებულს, განკითხვის დღეს მათგან დამზადდება ცეცხლოვანი ფირფიტები, რომლებსაც ჯოჯოხეთის ცეცხლში გააცხელებენ. შემდეგ ამ ფირფიტებით დაუწვავენ მის გვერდებს, შუბლსა და ზურგს. როდესაც ისინი გაცივდებიან, პროცესი განმეორდება. ეს გაგრძელდება იმ დღის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც ორმოცდაათი ათასი წელია, სანამ არ დასრულდება სასჯელი მონებზე და არ მიუთითებენ მას გზას ან სამოთხისკენ, ან ჯოჯოხეთისკენ». ვიღაცამ ჰკითხა: "ო ალლაჰის მოციქულო, რა შეგიძლია გვითხრა აქლემებზე?“ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ვიცნ არ უნდა იყოს აქლემების მფლობელი, და არ გასცემს მათგან დაწესებულს, კერძოდ, არ წველის მათ წყლის დასალევ დღეს, განკითხვის დღეს მისი სახით გადმოაგდებენ ფართო ველზე ამ აქლემების წინაშე. ეს აქლემები კიდევ უფრო მსუქნები იქნებიან, ვიდრე ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ყველა მათგანი, მათ შორის მეძუძური აქლემის ნაშიერიც კი, დაიწყებს მათი ფეხებით თელვას და კბილებით კბენას. როგორც კი მათგან ბოლო გაივლის მასზე, პირველებს დააბრუნებენ. ეს გაგრძელდება იმ დღის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც ორმოცდაათი ათასი წელია, სანამ არ დასრულდება მონებზე განაჩენი. ამის შემდეგ მას ან სამოთხისკენ, ან ჯოჯოხეთისკენ მიუთითებენ გზას». ვიღაცამ ჰკითხა: "ო ალლაჰის მოციქულო, რა შეგიძლია გვითხრა ძროხებსა და ცხვრებზე?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ვინც არ უნდა იყოს ძროხებისა და ცხვრების მფლობელი, და არ გასცემს მათგან დაწესებულს, განკითხვის დღეს მისი სახით გადმოაგდებენ ფართო ველზე ამ ძროხებისა და ცხვრების წინაშე. მათ შორის არ იქნება არც დახვეული რქების მქონე, არც გატეხილი რქების მქონე და არც ურქო ცხოველი. ისინი დაიწყებენ მათი რქებით ბოჭვას და ჩლიქებით თელვას. როგორც კი მათგან ბოლო გაივლის მასზე, პირველებს დააბრუნებენ. ეს გაგრძელდება იმ დღის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც ორმოცდაათი ათასი წელია, სანამ არ დასრულდება მონებზე განაჩენი. ამის შემდეგ მას ან სამოთხისკენ, ან ჯოჯოხეთისკენ მიუთითებენ გზას». ვიღაცამ ჰკითხა: "ო ალლაჰის მოციქულო, რა შეგიძლია გვითხრა ცხენებზე?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ცხენები სამ სახეობად იყოფა: ზოგი მათგანი ადამიანს ცოდვად ექცევა, ზოგი მისთვის დაცვაა, ხოლო სხვები მას ჯილდოს მოუტანენ. რაც შეეხება ცხენებს, რომლებიც ადამიანს ცოდვად ექცევიან — ესაა ცხენები, რომლებსაც ადამიანი ამრავლებს მხოლოდ თავის გამოსაჩენად, სიამაყისთვის ან მუსლიმებთან საბრძოლველად. ასეთი ცხენები ცოდვად ექცევიან მფლობელს. რაც შეეხება ცხენებს, რომლებიც ადამიანისთვის

დაცვაა — ესაა ცხენები, რომლებსაც ადამიანი ალლაჰის გზისთვის ინახავს. ამასთან, ის არ ივიწყებს ალლაჰის უფლებას ამ ცხენების ზურგსა და კისერზე. ასეთი ცხენები მისთვის დაცვა იქნება. რაც შეეხება ცხენებს, რომლებიც ადამიანს ჯილდოს მოუტანენ — ესაა ცხენები, რომლებსაც ადამიანი ინახავს მუსლიმებისათვის ალლაჰის გზაზე. ის უშვებს მათ საძოვრებზე და მდელოებზე. რაც არ უნდა შეჭამონ ეს ცხენები იმ საძოვრებზე და მდელოებზე, ეს აუცილებლად ჩაითვლება მისთვის კეთილ საქმედ. ასევე, მისთვის ჩაიწერება კეთილი საქმეები მათი განავლისა და შარდის რაოდენობის მიხედვით. თუ ისინი გაწყვეტენ საბელს და გაიქცევიან საძოვარზე ერთხელ ან ორჯერ, ალლაჰი აუცილებლად ჩაწერს მას კეთილ საქმეებს მათი ნაფეხურების და განავლის რაოდენობის მიხედვით. და როდესაც ადამიანი მათ მდინარესთან წაიყვანს და ისინი წყალს დალევენ, ალლაჰი აუცილებლად ჩათვლის მისთვის კეთილ საქმეებს თითოეული მათი ყლუპის მიხედვით, თუნდაც მას მათი დაწყურება განზრახული არ ჰქონდეს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა ქონების სახეები და სასჯელი მათთვის, ვინც არ იხდის ქონებიდან ზაქათს განკითხვის დღეს. ამ ქონების სახეები მოიცავს: პირველი: ოქრო, ვერცხლი და მათი ეკვივალენტები, როგორიცაა ფული და სავაჭრო საქონელი, რომლებზეც ზაქათის გადახდა სავალდებულოა. თუ ზაქათი არ იქნა გადახდილი, განკითხვის დღეს ეს ქონება გადნება და გადაკეთდება ფირფიტებად, რომლებიც ჯოჯოხეთის ცეცხლში გაცხელდება. ამ ქონების მფლობელი დაისჯება: მისი გვერდები, შუბლი და ზურგი ამ გახურებული ფირფიტებით დაიწვება. როდესაც ფირფიტები გაცივდება, ისინი კვლავ გაცხელდება, და ეს გაგრძელდება მთელი განკითხვის დღის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც ორმოცდაათი ათასი წელია, სანამ ალლაჰი არ გამოიტანს განაჩენს მის ბედზე: შევა ის სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. მეორე: აქლემების მფლობელები, რომლებიც არ იხდიან სავალდებულო ზაქათს და არ ასრულებენ მათ უფლებებს, მათ შორის, გაჭირვებულებისთვის მათი მოწველის შესაძლებლობას. განკითხვის დღეს ეს აქლემები წარმოდგენილი იქნება საუკეთესო მდგომარეობასა და ყველაზე დიდი რაოდენობით. მათი მფლობელი გადაგდებული იქნება ვრცელ ველზე, სადაც ეს აქლემები ფეხებით გადავლენ მას და დაკბენენ კბილებით. როგორც კი ბოლო აქლემი გაივლის მასზე, პირველი დაბრუნდება, და ეს განმეორდება მთელი განკითხვის დღის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც ორმოცდაათი ათასი წელია, სანამ ალლაჰი არ გამოიტანს განაჩენს მის ბედზე: შევა ის სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. მესამე: ძროხებისა და ცხვრების (მათ შორის, ბატკნების ან თხების) მფლობელი, რომელიც არ იხდის სავალდებულო ზაქათს. განკითხვის დღეს ეს ცხოველები წარმოდგენილი იქნებიან სრულ რაოდენობაში, არ დაკარგავენ არცერთ თავს. მათი მფლობელი გადაგდებული იქნება ვრცელ და სწორ მიწაზე, და მასთან მიიყვანენ უნაკლო ცხოველებს: არც გატეხილი რქებით, არც ურქო და არც დაზიანებული რქებით — ყველა იქნება სრულყოფილ მდგომარეობაში. ეს ცხოველები ბოჭავენ მას რქებით და თელავენ ჩლიქებით. როგორც კი ბოლო ცხოველი გაივლის მასზე, პირველი დაბრუნდება, და ეს სასჯელის ციკლი გაგრძელდება დაუსრულებლად. და ეს სასჯელი გაგრძელდება მთელი განკითხვის დღის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობაც ორმოცდაათი ათასი წელია, სანამ ალლაჰი არ განიკითხავს ადამიანებს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, იქნება ეს ადამიანი სამოთხის თუ ჯოჯოხეთის ბინადართა შორის. მეოთხე: ცხენების მფლობელები, რომლებიც სამ კატეგორიად იყოფიან: პირველი კატეგორია: ისინი, ვისთვისაც ცხენები გახდებიან ცოდვის მიზეზი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ინახავენ ცხენებს გამოსაჩენად, სიამაყისთვის და მუსლიმების წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. მეორე კატეგორია: ისინი, ვისთვისაც ცხენები გახდებიან დაცვა (და ფარი). ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ინახავენ ცხენებს ალლაჰის გზაზე ჯიჰადში მონაწილეობისათვის, უვლიან მათ, უზრუნველყოფენ საკვებითა

და ყველა საჭირო საშუალებით, მათ შორის მამრობითი ცხენების მიყვანით გამრავლებისთვის. მესამე კატეგორია: ისინი, ვისთვისაც ცხენები გახდებიან ჯილდოს წყარო. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ინახავენ ცხენებს ალლაჰის გზაზე ჯიჰადისათვის მუსლიმების დასაცავად. თუ ეს ცხენები საძოვრებზე ძოვენ და ბალახს ჭამენ, ყოველი ბალახის ღერისთვის, რომელსაც ისინი შეჭამენ, მათ მფლობელს ჩაეწერება ჯილდო. მათი ჩლიქებით დატოვებული ყოველი ნაფეხურისთვის და მათი განავლისთვისაც კი ჯილდო მიეწერება. თუნდაც მათმა მფლობელმა შემთხვევით გაიაროს მდინარესთან და ცხენებმა წყალი დალიონ ისე, რომ მას მათი დაწყურება განზრახული არ ჰქონდეს, ყოველი ყლუპი წყლისთვის მას მიეწერება ჯილდო. შემდეგ მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს ვირებზე: „არიან თუ არა ისინი იგივე, როგორც ცხენები?“ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა, რომ ვირებთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილება არ ყოფილა გარდმვლენილი, გარდა ამ უნივერსალური აიათისა, რომელიც ვრცელდება ყველა სახის ქმედებაზე — როგორც კეთილზე, ასევე ცოდვილზე. ეს არის ყოვლისშემძლე ალლაჰის სიტყვები: «და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)! და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)!» (სურა „აზ-ზალზალა“, აიათები 7-8). ვინც ვირებს გამოიყენებს სიკეთისა და ალლაჰის მორჩილებისთვის, მიიღებს ამის ჯილდოს. ხოლო ვინც ცოდვას ჩაიდენს მათი მფლობელობის მეშვეობით, დაისჯება. ეს წესი ვრცელდება ყველა ქმედებაზე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6611